სპეციალური მოთხოვნები

მწვავე ფსიქიკური აშლილობის მართვის კლინიკური განყოფილების, საპროცედურო და სარეაბილიტაციო სივრცეების (კაბინეტებისთვის), მნახველებთან შეხვედრების ოთახისა და სხვა პაციენტთა სამყოფელებისათვის

1. **ფანჯრები:**
   1.1. პალატების დამატებითი განიავება უნდა ხდებოდეს ფანჯრების მეშვეობით, რომელთა გაღება-დახურვის საშუალება ექნება მხოლოდ სამედიცინო პერსონალს;
   1.2. ფანჯრის საკეტი მოწყობილობები მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული პაციენტის მხრიდან ინდივიდუალური გაღების შესაძლებლობისგან;
   1.3. ფანჯრები გაღებულ მდგომარეობაში არ უნდა იძლეოდეს პალატიდან პაციენტის გარე პერიმეტრთან ნებისმიერი სახით წვდომის საშუალებას;
   1.4. პაციენტთა სტაბილურ სამყოფელებში უნდა დამონტაჟდეს ანტივანდალური ფანჯრები;
   1.5. განყოფილების სტანდარტულ პალატებს არ უნდა ჰქონდეთ გისოსები ფანჯრებზე.

2. **კარები:**
   2.1. პალატის კარებები უნდა იღებოდეს შიგნიდან გარე მიმართულებით დერეფნისკენ, საევაკუაციო გზისკენ;
   2.2. პალატის კარები არ უნდა იკეტებოდეს შიგნიდან. შესაძლებელი უნდა იყოს პალატის გარედან ჩაკეტვა;
   2.3. პალატებისა და კლინიკური განყოფლების შესასვლელი კარის ჩარჩოები და კარებები დამზადებული უნდა იყოს მყარი მასალისგან და უნდა ჰქონდეთ პაციენტის მხრიდან ზეწოლის გამძლე საკეტები;
   2.4. პალატების გარდა ყველა არეალი უნდა იკეტებოდეს ისე, რომ პაციენტს არ ჰქონდეს სამედიცინო პერსონალის გარეშე იქ შეღწევის შესაძლებლობა;
   2.5. პალატების კარებს უნდა გააჩნდეს არამსხვრევადი, სქელი მინის მცირე ზომის გამჭვირვალე სარკმელი, საიდანაც შესაძლებელი იქნება სამედიცინო პერსონალის მხრიდან პალატის შიდა პერიმეტრის სრულყოფილად დანახვა.

3. **კედლები, ჭერი, იატაკი:**
   3.1. კედლები ნაშენები უნდა იყოს მყარი მასალით, (მაგ. ბლოკი, დამუშავებული ფითხით);
   3.2. ჭერი უნდა იყოს ერთგვაროვანი, დაუშვებელია ასაწყობი კომპონენტების მქონე ჭერის მონტაჟი;
   3.3. იატაკის ფილა, პარკეტი ან ლინოლიუმი უნდა იყოს სადა, ფერების კომბინაცია არ უნდა აძლევდეს პაციენტს რაიმე საგნის ან მოძრაობის აღქმის საშუალებას;
   3.4. იატაკის პლინტუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს პაციენტის მხრიდან რთულად დემონტირებადი, მყარად ჩაძირული კედელში;
   3.5. კედლები, ჭერი და იატაკი, რომელიც ესაზღვრება სხვა დანარჩენ განყოფილებებს უნდა იყოს აღჭურვილი ხმაგაუმტარი საშუალებებით;
   3.6. კედელი, ჭერი და იატაკი უნდა იყოს სრულად თავისუფალი პაციენტის მხრიდან დემონტირებადი ტექნიკური ქსელებისაგან და სხვა მოწყობილობებისგან.

4. **პაციენტის აბაზანა-ტუალეტი:**
   4.1. პაციენტის აბაზანა-ტუალეტის პარამეტრები უნდა იყოს არანაკლებ 2X2 მ;

4.2. ხელსაბანი, უნიტაზი და სხვა სააბაზანო აქსესუარები უნდა იყოს ანტივანდალური;
4.3. შხაპის დანადგარი უნდა იყოს დამონტაჟებული (ისტიტუციური ტიპის) წყლის დემონტირებადი სადენების გარეშე.

5. ხანძრის სალიკვიდაციო ადგილობრივი ბლოკები:

5.1. ხანძრის სალიკვიდაციო ადგილობრივი ბლოკები უნდა იყოს კედელში დამალული ან/და მყარად ჩაკეტვის შესაძლებლობით;
5.2. ელექტრო როზეტები, ჩამრთველები და ელექტრული მართვის კვანძები უნდა იყოს რთულად დემონტირებადი;
5.3. პალატების და სველი წერტილების ტერიტორიაზე დამონტაჟებული როზეტები აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ჩამკეტებით;
5.4. ნებისმიერი ტიპის სადენი სრულად უნდა იყოს დამალული კედელში ან/და ჭერში;
5.5. განათების მოწყობილობები უნდა იყოს ჩაშენებული, მყარად დამაგრებული ღია სადენების გარეშე.

6. იძულებითი ფსიქიატრიული სტაციონარულიდა დეესკალაციის პალატები:

6.1. იძულებითი ფსიქიატრიული სტაციონარული პალატები და დეესკალაციის პალატები, გარდა ზემოჩამოთვლილი სტანდარტული პალატების პირობებისა, უნდა აკმაყოფილებდნენ დამატებით უსაფრთხოების პირობებს, კერძოდ:
6.1.1. იძულებითი ფსიქიატრიული სტაციონარული პალატები და დეესკალაციის პალატები უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაცვით და კონტროლის განხორციელების შესაბამისი სისტემებით (ვიდეო კონტროლი და საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემები);
6.1.2. იძულებითი ფსიქიატრიული სტაციონარული პალატების და დეესკალაციის პალატების ფანჯრებზე, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლებელია ფანჯრებზე, ბრონირებულ მინებთან ერთად,დამონტაჟებულ იქნას არა ციხის გისოსების მაგვარი ჟალუზები (იხ. დანართი N.1 - ის პუნქტი N. 73);
6.1.3. იძულებით ფსიქიატრიულ სტაციონარულ პალატებსა და დეესკალაციის პალატებში განთავსებული პაციენტების სველწერტილებთან წვდომა უნდა განხორციელდეს დერეფნიდან.

7. სხვა მნიშვნელოვანი პირობები:

7.1. იმ შემთხვევაში, თუ ლიფტი უკავშირდება უშუალოდ კლინიკურ ბლოკს, უნდა გამოირიცხოს სპეციალური ხელსაწყოს გარეშე ლიფტის გამოძახება ან მისი კარის გაღება;
7.2. საევაკუაციო გასასვლელებთან წვდომა პაციენტთათვის შეზღუდული უნდა იყოს კლინიკის პერსონალის მონაწილეობის გარეშე;
7.3. კლინიკური განყოფილებები უნდა იყოფოდეს ორ ბლოკად: პერსონალის და კლინიკურ (საპალატე) ბლოკებად;
7.4. პაციენტების მიღების სივრცეებს უნდა გააჩნდეს დამატებითი გასასვლელი, პაციენტის მიერ ძირითადი გასავლელის ბლოკირების შემთხვევისათვის.